ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 138

საექსპერტო (შეფასების) მომსახურების შესყიდვის თაობაზე

ქ. თბილისი, 01 აგვისტო, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გიორგი ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – ''მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნიკანორ მელიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით, აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას (სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო").

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო).

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ქონების შეფასების (საბაზრო ღირებულების დადგენის) მომსახურების გაწევა (CPV 79400000).

2.2. მომსახურების შინაარსს წარმოადგენს:

ა)სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების შეფასება და საბაზრო (საბითუმო, საცალო) ფასის დადგენა.

ბ) სხვა სახელმწიფო ქონების შეფასება.

გ) სხვა ქონების შეფასება.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 ოქტომბრამდე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის #144 ბრძანების შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება, სავარაუდოდ, შეადგენს 20 000 ლარს.

5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

5.1. შემსყიდველი, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული და სხვა ქონების შეფასების ყოველ შემთხვევაში, წერილობითი განაცხადს წარუდგენს მიმწოდებელს გასაწევი მომსახურების თაობაზე და ატყობინებს ქონების განთავსების ადგილს; აგრეთვე გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას შესაფასებელი ქონების შესახებ.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაიწყოს ქონების შეფასების სამუშაოები შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაასრულოს ქონების შეფასების სამუშაოები გონივრულ ვადაში.
5.4. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ქონების განთავსების ადგილზეც.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1.მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული უნაკლო მომსახურება.
6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით
6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრივალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 დღისა.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკ-რულების პირობების შესრულებაზე სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების სამსახურის უფროსის კობა ლაცაბიძის საშუალებით.
8.2 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის 15 დღით ადრე გაგზავნილი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერუზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსყიდველისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, თუ:
ა) შემსყიდველი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანარიშსწორების პირობებს და ასეთი ქმედება გრძელდება მიმწოდებლის მიერ მისთვის პრეტენზიის გაგზავნის და დამატებითი ვადის განსაზღვის შემდეგაც;
ბ) შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისათვის საჭირო მასალის წარმოდგენას და ასეთი ქმედება გრძელდება მიმწოდებლის მიერ მისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შემდეგაც;

10.4. ხელშეკრულების მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გამოყენებისას, როდესაც ადგილი არა აქვს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევას ან სხვა არაკეთილსინდისიერ ქმედებას, უნდა შეეცადონ აირიდონ მეორე მხარისათვის შეწყვეტით გამოწვეული ზიანის მიყენება ან მაქსიმალურად შეამცირონ ასეთი ზიანის წარმოშობის რისკი.
10.5. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას კონკრეტული შეკვეთის შესრულებაზე შესაბამისი კომპეტენციის და ცოდნის არარსებობის გამო და აცნობოს აღნიშნულის შესახებ შემსყიდველს შეკვეთის მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებე-ბის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვონ ბრალეულ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებ-ულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება,მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14. დავების გადაჭრის წესი

14.1 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილები არიან მიმართონ საერთო სასამართლოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დასკვნითი დებულებები

16.1 მხარეთა შორის არსებული მიმოწერა და დოკუმენტბრუნვა, მათ შორის შეკვეთის გაგზავნა, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება, შეფასების აქტების წარდგენა და სხვა, შესაძლებელია განხორციელდეს მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით.
16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"
ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #4
სკ 205081249
ს.ს. ,,ბაზისბანკი", ბკ 2201101956, ა/ა #GE02BS0000000007434110
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი ბოკუჩავა----------

მიმწოდებელი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–10 კილომეტრი
სკ: 205263873
ს.ს. "თიბისი ბანკი"
ბკ: TBCBGE22
აა: GE76TB7010101010101010
აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე ნიკანორ მელია ----------

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 01 აგვისტო, 2011 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი ბოკუჩავა და ამავე სააგენტოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის სამსახურის უფროსი კობა ლაცაბიძე ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა, სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საექსპერტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში რომელსაც ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო", არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

---------- გიორგი ბოკუჩავა

---------- კობა ლაცაბიძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
ბრძანება № 144
2010 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1^3 და 1^4 პუნქტების, 14^7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 19^1 მუხლის მე-6 პუნქტის, 38-ე მუხლის მე-4 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, *(1.07.2011 N 82)* **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობა და გადახდის წესი.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

თ. ბურჯალიანი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობა და გადახდის წესი

მუხლი 1

სასამართლო და სხვა უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული აქტების აღსრულებისას გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული აღსრულების საფასური (შემდგომში - აღსრულების საფასური), აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე.

მუხლი 2

1. აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად.

2. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7% (არანაკლებ 50 ლარისა), გარდა ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(10.03.2011 N 36)*

2^1.აღსრულების საქმეზე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის აღსრულების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად: *(1.07.2011 N 82)*

ა) 100 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 25%, მაგრამ არანაკლებ 20 ლარისა;

ბ) 100 ლარიდან 200 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 20%, მაგრამ არანაკლებ 30 ლარისა;

გ) 200 ლარიდან 500 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 15%, მაგრამ არანაკლებ 40 ლარისა;

დ) 500 ლარი ან 500 ლარზე მეტი სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა"–„დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი (გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სასარგებლოდ გადასახდელი თანხების, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულების საფასური წინასწარ არ გადაიხდევინება. ამ გადაწყვეტილებების აღსრულების საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი

მოთხოვნის 7%. საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრება. *(1.07.2011 N 82)*

4. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული კრედიტორების ფულადი მოთხოვნების მოვალეების მიერ კანონით დადგენილ ვადებში მოთხოვნის სრულად შესრულებისას აღსრულების საფასურის სახით ეკისრებათ აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 2%.

5. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ კრედიტორი გამოიყენებს ამავე მუხლის 1^2 პუნქტით მინიჭებულ უფლებას, იგი ყოველწლიურად იხდის სააღსრულებო წარმოების საქმის გაგრძელებისათვის საფასურს 200 ლარის ოდენობით. *(17.01.2011 N 10)*

მუხლი 3

1. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს კრედიტორი წარუდგენს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რაც იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია. *(17.01.2011 N 10)*

2. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში შეტანისას იხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს (მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა). *(26.07.2011 N 95)*

3. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ან/და გადაცემის ან გამოსახლებისას, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟისას და მშენებარე შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟისას აღსრულების საფასურის ოდენობაა ნივთის საბაზრო ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. ამ კატეგორიის საქმეებზე კრედიტორი აღსრულების საფასურს წინასწარ იხდის ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ კომპეტენტური პირის ან ორგანოს დასკვნის შესაბამისად (გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, როდესაც სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან ქონების გამოთხოვის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის მფლობელი მოგირავნის და უძრავი ქონების შემძენის განცხადების საფუძველზე არსებული წარმოების საქმეებზე აღსრულების ეროვნული ბიურო არ დაეყრდნობა ქონების წარმოდგენილ შეფასებას და თავად შეაფასებს მას). კრედიტორი უფლებამოსილია მის მიერ გადახდილი აღსრულების საფასურისა და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს მოვალისაგან სასამართლო წესით. *(1.07.2011 N 82)*

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრედიტორი ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) მიერ

აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ოდენობა, მიუხედავად აღსასრულებელი მოთხოვნისა, არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებისათვის რეგისტრაციას დაქვემდებარებულ თითოეულ ნივთზე და სხვა კატეგორიის საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენისას კრედიტორი იხდის აღსრულების საფასურს 100 ლარის ოდენობით. *(17.01.2011 N 10)*

6. ამოღებულია *(1.07.2011 N 82)*

მუხლი 4 *(1.07.2011 N 82)*

კერძო აღმასრულებელი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართავს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, წარუდგენს სააუქციონო დოკუმენტაციის (სააღსრულებო წარმოების შესაბამისი მასალების) მის მიერ დამოწმებულ ასლებს და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეაქვს ამ მომსახურებისათვის დადგენილი საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს განაცხადის წარდგენის დღისათვის მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნის 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა. სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით წარმოდგენის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების მასალები არ საჭიროებს დამოწმებას.

მუხლი 5 *(17.01.2011 N 10)*

აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროს საამისოდ უფლებამოსილი პირები რეესტრის მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფენ შესაბამისი ცნობებისა და ამონაწერების გაცემას ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. რეესტრიდან შესაბამისი ცნობა და ამონაწერი გაიცემა დაინტერესებული პირის განცხადებისა და დადგენილი საფასურის წინასწარ გადახდის საფუძველზე, რომლის ოდენობა შეადგენს 10 ლარს.

მუხლი 6 ამოღებულია *(17.01.2011 N 10)*

მუხლი 7 *(9.09.2010 N 165)*

იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის N 221 ბრძანების 15^4 მუხლის თანახმად, აღსასრულებლად მიიღო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, აღსრულების საფასური განისაზღვრება კრედიტორსა და კერძო აღმასრულებელს შორის დადებული ხელშეკრულებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38–ე მუხლით დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრული ოდენობის ფარგლებში დადგენილი საზღაურის ოდენობის შესაბამისად. კერძო აღმასრულებლისათვის საზღაურის სახით წინასწარ გადახდილი თანხა კრედიტორს დაუბრუნდება ამოღებული თანხის (მოთხოვნის) პროპორციულად.

მუხლი 8 *(1.07.2011 N 82)*

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის მიმართვის საფუძველზე განხორციელებული ქონების შეფასების (საბაზრო ღირებულების განსაზღვრის) მომსახურების საფასური განისაზღვრება დანართი №1-ისა და დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 9 *(1.07.2011 N 82 ამოქმედდეს 2011 წლის 1 აგვისტოდან)*

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელების, ასევე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სააუქციონო მომსახურების გაწევის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 7%-ს, მაგრამ არანაკლებ 5 000 (ხუთი ათასი) ლარისა;

ბ) გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელებისას – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 7%-ს, მაგრამ არანაკლებ 5 000 (ხუთი ათასი) ლარისა;

გ) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში – 5 000 (ხუთი ათასი) ლარი;

დ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სააუქციონო მომსახურების გაწევისას – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 200 (ორასი) ლარისა;

2. იმ შემთხვევაში, თუ ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები ან „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სასამართლოს სადეპოზიტო ანარიშზე შეტანილი თანხა ნაკლებია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის ოდენობაზე, სხვაობის გადახდა არ ხდება.

დანართი №1 *(1.07.2011 N 82)*

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის მიმართვის საფუძველზე განხორციელებული უძრავი ქონების შეფასების (საბაზრო ღირებულების განსაზღვრის) მომსახურების საფასური

სახეობა	ერთეული	ფასი (ლარებში)	შენიშვნა
უძრავი ქონება			
მიწის ნაკვეთი (სასოფლო-სამეურნეო) 1 ჰა-ის ჩათვლით	1	50	

მიწის ნაკვეთი (სასოფლო-სამეურნეო) 1 ჰა-ზე მეტი 10 ჰა-მდე	1	100	ყოველ დამატებით 1 ჰა-ზე დამატებით 10 ლარი
მიწის ნაკვეთი (არასასოფლო სამეურნეო)	1	100	
ბინა	1	150	
კერძო სახლი	1	250	
კომერციული და საოფისე დანიშნულების ფართები 200 კვ.მ-ის ჩათვლით	1	200	ყოველ დამატებით 100კვ.მ-ზე 50 ლარი
საწარმოო დანიშნულების 500 კვ.მ-ის ჩათვლით შენობა-ნაგებობები	1	500	501 კვმ-დან ზემოთ ყოველ 100 კვ.მ-ზე დამატებით 20 ლარი

დანართი №2 *(26.07.2011 N 95)*

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის მიმართვის საფუძველზე განხორციელებული მოძრავი ქონების შეფასების (საბაზრო ღირებულების განსაზღვრის) მომსახურების საფასური

სახეობა	ფასი
მოძრავი ქონება	
საოფისე ტექნიკა და ინვენტარი (ფანქრები, მარკერები, საქაღალდეები, სტეპლერები, ქსეროქსები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა).	100 ლარამდე – 15 ლარი, 100 ლარიდან 10 000 ლარის ჩათვლით – 40 ლარი, 10 000 ლარის ზევით – 200 ლარი
ავეჯი (ფურნიტურა, დეკორატიული ნივთები)	
დანადგარები	
სამშენებლო მასალები, სამშენებლო კონსტრუქციები, სამშენებლო ტექნიკა, ელექტროტექნიკური საქონელი, სამეურნეო საქონელი	
საოჯახო ტექნიკა და ნივთები (აუდიო-, ვიდეოტექნიკა, ელექტრო-ტექნიკა, სამზარეულო ინვენტარი)	
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	
ჯართი	1 ტონა – 15 ლარი
იარაღი	1 ერთეული – 40 ლარი
ცხოველები და ფრინველები	საერთო ღირებულების 5%
ბიზნესწილები	400 ლარი
არამატერიალური აქტივები (ლიცენზიები და ნებართვები)	500 ლარი
სხვა (შერეული)	5000 ლარამდე – ღირებულების 3%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა, 5000-დან 100 000 ლარამდე – 200+5000 ლარის ზევით ღირებულების 2%, 100 000-დან 1 000 000 ლარის

	ჩათვლით – 2050+100 000 ლარის ზევით ღირებულების 1%, 1 000 000 ლარის ზევით – ღირებულების 0,8%